ხელშეკრულება №71
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი „17„ დეკემბერი 2015წ.

ერთის მხრივ, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს, დირექტორის ზვიად გონაძის (შემდგომში – შემსყიდველი) სახით, და მეორეს მხრივ, შპს „თბილი სახლი" მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,ს[1]'-ქვეპუნქტის თანახმად) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის სახსრებით მომსახურების (ტექნიკური შემოწმება,ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (CPV-71600000)
1.2. შესყიდვის ობიექტია მომსახურება (გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის აგრეგატის შემოწმება), რომლის შესყიდვა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე უნაღდო ანგარიშსწორებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში და ღირებულება შეადგენს 1534 (ერთიათასხუთას ოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარს.
2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2.3. ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღეში.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის: მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები. პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 25.12.2015წ-მდე
4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 25.01.2016 წ-მდე.
4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კოსტავს 70. მე-2 სართული. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო".
4.4.შესყიდვების ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის რის საფუძველზეც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით და ელექტრონული ვერსიით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
— შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
— მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
— უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
— მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
— მიმწოდებელი ვალდებულია: გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
— დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
6.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
6.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
6.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებლები თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარეს წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „სახელმწიფო მომსახურების ბიურო" იურიდიული მის: ქ.თბილისი, ჭანტურიას №12 ფაქტიური მის: ქ.თბილისი, კოსტავას №70 ს/კოდი 404389372 საბანკო რეკვიზიტები: სს„თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი. ბანკის კოდი: TBCBGE 22 ა/ა GE34 TB 71 1963 6080 100001	შპს „თბილი სახლი" მის: ქ. თბილისი, ვაჟაფშაველას №20. ს/კოდი 204976179 საბანკო რეკვიზიტები: სს„საქართველოს ბანკი" ც/ფ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE19BG0000000175579101
დირექტორი: ..... ზ.გონაძე	დირექტორი: ..... მ.კურტანიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 17 დეკემბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს„სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს დირექტორი

ზვიად გონაძე-

შპს„სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს შესყიდვების მთავარი სპეციალისტი

დავით ვახტანგიშვილი –

შპს„ სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს ფინანსური მენეჯერი

ირაკლი შენგელია-

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „ ” დეკემბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შპს„სახელმწიფო მომსახურების ბიურო”-ს წარმომადგენელი დავით ვახტანგიშვილის სახით (შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „თბილი სახლი” მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით (მიმწოდებელი) ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული №71 ხელშეკრულების თანახმად „მიმწოდებელმა“ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა(გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის აგრეგატის შემოწმება), საერთო ღირებულებით: 1534 (ერთიათასხუთას ოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 1534 (ერთიათასხუთას ოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს:

1534 (ერთიათასხუთას ოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

1. შპს „თბილი სახლი” /მ.კურტანიძე/

მიიღო:

2.„სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ /დ.ვახტანგიშვილი/

შპს თბილი სახლი

ვაჟა–ფშაველას 20, თბილისი, საქართველო, 0160; ს/კ 204976179; ტელ./ფაქს. (+995 32) 2 311525; 311535; www.casacalda.ge; info@casacalda.ge

INVOICE

მყიდველი

სახელი:	მომსახურების ბიურო
მისამართი:	ქ. ქუთაისი
ს/კ ან პ/ნ:	
ტელეფონი:	

იწვოისის №1995
თარიღი: 16.12.15

№	დასახელება	ერთ.გაზზ.	მასალა			ხელობა		ჯამი
			რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის აგრეგატის შემოწმება (vrv toshiba)	ცალი	1,00			1 300,00	1 300,00	1 300,00

1 300,00

დღგ 18% 234,00

ჯამი **1 534,00**

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

აწგ. ნომერი: GE19BG0000000175579101

SWIFT: BAGAGE22

სერვისის ხელმძღვანელი *ზურაბ ბადუაშვილი*